წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი # 12

ქ. წალკა; **30.09.2025 წ.**

სხდომას თავმჯდომარეობდა – გოჩა ხაჩატურიან;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 28 დეპუტატი: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-რადიკ სარკისიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- ავთო ვანაძე, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, მელიტონ პაკელიანი, ლევონ მარკოსიან, ჯემალ ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსი მუხსიევი,რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, გურამ მგელაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე, ხაჩატურ მაზმანიან, ლოლა ახალაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ანზორ ხინიკაძე;**
სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:25 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

2. განკარგულების პროექტი “წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის სექტემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ”.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: საკრებულომ ღია კენჭისყრით (25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

/მომხსენებელი: გოჩა ხაჩატურიან - წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე/
/თანამომხსენებლები: ანზორ ხინიკაძე- წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მელიტონ პაკელიანი- სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ანტარამ მელტონიან- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის სექტემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

/მომხსენებელი: ჯემალი ბერიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/;

სხდომამ განიხილა:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

/მომხსენებელმა: გოჩა ხაჩატურიანმა საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;
/თანამომხსენებელმა: ანზორ ხინიკაძემ საკრებულოს განუცხადა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიამ მოიწონა განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით; მელიტონ პაკელიანმა საკრებულოს გააცნო სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე; ანტარამ მელტონიანმა საკრებულოს გააცნო სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე.
საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, შენიშვნები და მოსაზრებები არ გააჩნიათ;

დადგენილება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (დადგენილება #12 თან ერთვის);

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის სექტემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

/მომხსენებელმა: ჯემალ ბერიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;
საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ;
განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (28 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119. 11925273001 თან ერთვის);

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გ.ხაჩატურიან